ხაშურის მოამბე

№41 (462) 29 ოქტომბერი, სამშაბათი, 2024 წელი

-არჩევნები- 2024-

„ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვება

2024წლის 26 ოქტომბერი, 21 საათი და 30 წუთი. მთელი საქართველო ტელევიზიის ეკრანებთანაა შეკრებილი და უცდიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრიფინგს. ისიც არ აგვიანებს და იწყებს. ჯერ საერთო მიმოხილვას აკეთებს. წუთი საუკუნოდ გრძელდება. აჰა, შედეგებამდეც მივიდა. მაგრამ ბოლოდან იწყებს, ნულ თუ ერთპროცენტიანი პარტიებით. ნელ-ნელა ადის მაღლა და როგორც იქნა, მივიდა #41-მდე, არ ვიცი, მე მომეჩვენა თუ ასე იყო, რაღაც სხვა ჟღერადობა ემატება მის ხმას და ჩემთვის და ალბათ ასიათასობით ქართველისთვის სანატრელი იავნანასავით ისმის ციფრები: „ქართული ოცნება“ 54,8% . სიხარულის მეტი რა განმიცდია ცხოვრებაში. ვინც მე მიცნობს, ყველამ იცის, რომ ფეხბურთის და საქართველოს ნაკრების თავგადაკლული გულშემატკივარი ვარ. დარასელიას ცნობილ გოლზე დღესაც მაბოდებს, ახლახანს, კვეკვესკირის გადამწყვეტ პენალტთან-ბერძნებთან, კინაღამ გავგიჟდი და სხვაც უამრავი, მაგრამ თუ ამ არჩევნებს ფეხბურთის ანალოგიას დავუკავშირებთ, ეს 54, 8% ყველაზე შთამბეჭდავი გოლი იყო ჩემს ცხოვრებაში და რატომ? ფეხბურთში ერთი კონკრეტული გუნდი გიდგას წინ, ან კონკრეტული ქვეყანა. ამ არჩევნებში კი, იმდენი ქვეყნის ნაძირალა დაგვიპირისპირდა, თვლაც ამერია. აქაურ გათახსირებულ და უსამშობლოო ხალხზე საუბარიც ხომ არ მინდა. გვიგინეს ყველაფერი ძვირფასი, რაც კი გაგვაჩნია. წარმოიდგინეთ, ვიღაც გადამთიელი გერმანელი ჩინოვნიკი ამ რადიკალების მიტინგზე, ტრიბუნიდან, ჩვენ რწმენასაც კი შეეხო და ეს შუბლზე ძარღვგაწყვეტილი ვაიქართველები ტაშს უკრავდნენ. სარწმუნოება არაო, მამული არაო, დედა არაო, მამა არაო, დავიჩოქოთ, ღირსება ავიყაროთ, მიწაზე ვიფორთხიალოთ, შევეხვეწოთ მერე ევროპას, ეგებ მიგვიღონ ევროკავშირშიო. როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე:-არ მოესწრონ მაგ დღეს! ევროკავშირშიც შევალთ, ნატოს კარსაც გაგვიღებენ და ტაშსაც დაგვიკრავენ, როდესაც მთელი მსოფლიო ირწმუნებს, რომ ქართველები ღირსეული ხალხი ვართ, რომ ჩვენთვის, „მამული, ენა, სარწმუნოება“ გულის ფიცარზე ამოტვიფრული მთელი სიცოცხლის მამოძრავებელი ცნებაა, ჩვენ ევროპა და მისი კულტურა იმ განზომილებით გვინდა, რაც ქრისტიანულ ფასეულობებზეა დაფუძნებული და არა კაბაში გამოწყობილი წვრიანი კაცებით; ჩვენ ისეთი ევროპა გვინდა, რომელიც რაღაც შორეული კოლონიასავით მაღლიდან კი არ დაგვიწყებს ცქერას, არამედ, თანაბარ პარტნიორად დაგვიყენებს გვერდში; ჩვენ ისეთი ევროპა გვინდა, ომში თავით გადაშვებას კი არ გვაიძულებს, არამედ მშვიდობის შენარჩუნებაში დაგვეხმარება... მგონი ავცდი მთავარ თემას. დავუბრუნდები ისევ იმ 54,8 პროცენტს. უჰ, რა იყო!!! ეს „გოლი“ ერთდროულად ყველა იმ ნაძირალას კარში გავიდა, ვისაც სწორედ მუხლებზე დაცემული საქართველოს ხილვა უნდოდა. მაინც რომ არ იტეხენ იხტიბარს?! უკვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის დამკვირვებელმა აღიარა, რომ არჩევნები კონკურენტუნარიანი იყო, რომ უმცირეს დარღვევებს საერთო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია, რომ ელექტრონულმა სისტემამ ბრწყინვალედ იმოქმედა. რაც მთავარია, ყველა ამბობს, რომ ელექტრონულ არჩევნებს თითქმის ნული შესაძლებლობა გააჩნია, რომ ვინმემ, რაიმე მაქინაციით, შედეგები გააყალბოს. ეს ჩვენი რადიკალები კი უკვე ყაყანებენ - არჩევნები გაყალბდაო, თანაც ტოტალურადო. ეს ჩვენი მადამ პრეზიდენტი?! იმ ცნობილი ფილმის პერსონაჟისა არ იყოს: - ეს რა ჭირი გვჭირს, ტო? ცხოვრებაში არასოდეს დავთანხმებულვარ გათახსირებული ნაპროკურორალი ნიკა გვარამიას სიტყვებს. ახლა კი ერთ რამეში ნამდვილად ვეთანხმები, როდესაც მან მადამ სალომეს ხე-ქალა უწოდა (იმ სიტყვას ნამდვილად ვერ ვაკადრებ ჩემს მკითხველს, რაც მან ხის ნაცვლად იხმარა). ან როგორ გაყალბდა მაინც? რაღაც ხელშესახები მტკიცებულება ხომ უნდა დადონ? სხვას თავი დავანებოთ, აგერ, ხაშურში, მთელი არჩევნების მანძილზე, მხოლოდ ორი საჩივარი დაიწერა, ისიც ტექნიკურ ნაწილს ეხებოდა და ორივე 15 – 20 წუთში აღმოიფხვრა.



მოკლედ, არჩევნები შედგა, „ქართულმა ოცნებამ“ ღირსეული გამარჯვება მოიპოვა. დღევანდელი მონაცემებით, ისინი 89მანდატს ჩაიბარებენ. ოპოზიცია გაჰკივის, ჩვენს 61 მანდატს ვაუქმებთ, სიებს ჩავხსნით და პარლამენტში არ შევალთო. ნანახი გვაქვს ეგ კინო, ბატონებო! ისე შეხვალთ და შეიძურწებით, ეგ სიტყვები დაგავიწყდებათ. და თუ მართლა არ შეხვალთ, მწუხარეისაგან გული არ გაუხეთქოთ ასიათასობით ქართველს. ერთს გეტყვით მხოლოდ: ნურც შესულხართ, უთქვენოდაც მივხედავთ ჩვენს სამშობლოს!

გოგი გოგალაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის № 28 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 30 296,6 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით, ირიცხებოდა 7 646,2 ათას ლარი (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 6 815,6 ათასი ლარი, დელეგირებული 190,4 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი 640,2 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე, განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით - 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 51 477,4 ათასი ლარით, რაც 21 180,8 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 40 792,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (34 008,5 ლარი) 119,95% ხოლო წლიური გეგმის (45 344,7 ლარი) 89,96%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა 102,3% (20 313,6 ათასი ლარი), მათ შორის: დმატებითი ღირებულების გადასახადი 100,82%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი 126,6%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 3,62% , სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 19,67% არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 3,98%.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 75,15%-ით (2 085,4 ათასი ლარი), მათ შორის: რენტა 184,23%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 50,9%ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 78,40%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან 63,37%-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობის იჯარიდან 70,34% ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 324,89%-ით.

2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 29,80%-ს (10 137,7 ათას ლარს), ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 290,1 ათასი ლარი, მიღებულია – 217,6 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 9 841,622 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (სოფელ წრომში და სოფელ ზეკოტაში ასფალტბეტონის გზების მოწყობა, დაბა სურამში ტაბატაძის ქუჩის მეორე მონაკვეთზე, აფალტობეტონის გზის მოწყობა, სოფელ ახალსოფლის გზის მოასფალტება, სოფელ ტეზერში ბეტონის საფარის მოწყობა, სოფ ქინძათისა და სოფ დუმაცხოვის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება, სოფელ ქვიშხეთში მე-5 და მე-8 ქუჩების და ასევე მჭედლიშვილების უბანში გზის მოასფალტება, დაბა სურამში, იტრიის დასახლებაში, მამათა მონასტრის მისასვლელი გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა,სოფელ ალიდან სოფელ ნაბახტევამდე მისასვლელი გზის რებილიტაცია, სოფელ თაგვეთში დაზიანებული გზის გასწვრივ, მაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის სამშენებლო სამუსაოები, ქ,ხაშურში ახალციხის N6 და N50 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, დაბა სურამში, სარაჯიშვილის N6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ქ, ხაშურში, თამარ მეფის N3,N4,N5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სოფელ უწლევში, მისასვლელ გზაზე, ბეტონის საფარის მოწყობა, ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი სამუშაოები).სოფელ ცხრამუხაში შიდა გზის მოასფალტება.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

„ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 195 000 ლარი (სოფელ ნაბახტევში მდინარე ჭერათხეულაზე ხიდის მოწყობისათვის).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 589 110,570 ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N44 განკარგულებით. ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 206 700 ლარი მუნიციპალიტეტებში დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, ნაგავმზიდი მანქანის შესასყიდად.

საქართველოს მთავრობის 30,12,2019 N2735 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 400 000 ლარი, რომელიც მიმართულია სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაციისათვის.

2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 33 838,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 70,43%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ცხრა თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 80,73% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 10,58%), ეკონომიკური საქმიანობა - 65,37% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 48,34%), გარემოს დაცვა - 73,90% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 6,7%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა –67,43% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 8,93%), ჯანმრთელობის დაცვა - 44,72% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,35%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 51,65% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 12,65), განათლება - 66,67 (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 8,49%), სოციალური დაცვა - 78,43% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 3,88%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 68,34%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები -58,24%-ით, სუბსიდიები - 67,84%-ით, გრანტები - 51,06%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 83,07%-ით, სხვა ხარჯები - 44,79%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 63,85%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 დეკემბრის №28 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2024 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეთით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია სულ 5100 ლარი.

2600 ლარი გამოიყო, 2024 წლის 8 თებერვლის N84.842403954 ბრძანებით, 2024 წლის 6 თებერვალს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსული უხვი ნალექის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი ჭების დაბინძურების გამო მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით 500 ერთეული 10 ლიტრიანი წყლის ავზის შესაძენად.

2000 ლარი გამოიყო, 2024 წლის 26 მარტის N84.84240863 ბრძანებით, 1992-1993 წლებში აფხაზეთში შეიარაღებული მოქმედებეის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ხაშურის მუნიციპალიტეტის ორი იდენტიფიცირებული პირის ალექსი ქორთიაშვილისა და დიმიტრი ობოლაძის ოჯახების დახმარების მიზნით .

500 ლარი გამოიყო, 2024 წლის 20 ივნისის N84.84241722 ბრძანებით, სოფელ ჩუმათელეთში მცხოვრები სოციალურად გაჭირვებული არასრულწლოვანის დავით კვინიკაძის ოჯახისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების მიზნით.

1500 ლარი გამოიყო ,2024 წლის 20 აგვისტოს N84.842423313 ბრძანებით, ქ.ხაშურში ახალციხის N50 ბინა 35 ში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მარტოხელა დედის თამარ მახარაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

3000 ლარი გამოიყო 2024 წლის 11 სექტემბრის N84.842425512 ბრძანებით ქ.ხაშურში 26 მაისის ქუჩა N73 მცხოვრები შშმ პირის თამარ გასიშვისლის საოგადოებასთან ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

ნუგზარ გოცირიძე,
მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
ბიუჯეტის დაგეგმვის კონტროლისა და ანალიზის
განყოფილების ხელმძღვანელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ 9 თვეში შესრულებული საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ, მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად, გატარებულია რიგი ღონისძიებები და პროცედურები.

2024 წლის 9 თვეში - წიაღის ეროვნული სააგენტოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე, შემოსულია 40 მომართვა, თანხმობა-10, უარი-20, 10 მომართვა მოკვლევაშია. მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში შეყვანილია- 35 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა იზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ, კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად, მომზადდა თანხმობის 1 პროექტი. 1 პროექტს ეთქვა უარი.

ყოველი წლის არა უგვიანეს თებერვლამდე, საკრებულოს სხდომაზე ვიღებთ ახალ დადგენილებას „ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2024 წლის 9 თვეში -ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ- მოძრავი ქონება სარგებლობაში, საკუთრებაში და იჯარის ფორმით გადაეცა შემდეგ ა(ა)იპ-ს და სსიპ-ებს:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა სურამში მდებარე 12575კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (69.04.59.034) 32 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში მისი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

2. სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-ს გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა სურამში მდებარე (ს/კ 69.04.59.785) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, უსასყიდლო უზუფრუქტით, სარგებლობის უფლებით, ახალი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების განთავსებისთვის.

3. ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონება (ს.კ 69.08.67.985) უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით 2 წლის ვადით.

4. სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები გადეცა ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“–ს (ს/კ 443856908) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით (დანართი 1 თან ერთვის).

5. მოქალაქე ჯიმშერ ხაჩიძეს დროებით სარგებლობაში (ერთი თვით) იჯარის ფორმით, ატრაქციონების განსათავსებლად გადაეცა, ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.59.780) უძრავი ქონებიდან (დასასვენებელი პარკი) 126კვ.მ. ფართი.

6. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტო“-ზე (ს/კ 202504753), სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების შიდა ქართლის და სამცხე, ჯავახეთის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ხაშურის მუნიციპალური განყოფილებისათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

7. სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს“ (ს/კ 202504753), სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ხაშურის მუნიციპალური განყოფილებისათვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - უძრავი ქონების (3.69.08.58.036) დროებით სარგებლობით გადაცემის თაობაზე. მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი უძრავი ქონება:

1. ს/კ 69.08.60.743 - ხაშურში, ბორჯომის ქუჩის მიმდებარედ, სპორტული და დასასვენებელი სივრცის მოწყობის მიზნით.

2. ს/კ 69.08.58.477- ხაშურში, 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

3. ს/კ 69.06.60.929 -ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიშხეთი, ნინო ყიფიანის ხეივანი №16

4. ს/კ 69.05.52.434 -ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფლევი. (ამბულატორია, და სოფლის პროგრამით მოწყობილი სარიტუალო დარბაზი).

განახლების პროცესშია საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სულ შეტანილია 15 ობიექტი, ასევე დაინტერესებული პირების მომართვის საფუძველზე, მიმდინარეობს საპრივატიზებოდ მიმზიდველი უძრავი ქონების შერჩევა-შეფასების პროცესი.

დაწყებულია საქმისწარმოება:

„სსიპ- ვაჟა-ფშაველას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარის საჯარო სკოლისთვის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გომში, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონებიდან (საკადასტო კოდი: 69.02.65.022.059) ნაწილი 64,4 კვ.მ ფართის იჯარის ფორმით გადაცემა, 2 წლის ვადით, ელექტრონული აუქციონის წესით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 69.02.65.000.343) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

350,0 კბმ საშეშე მერქნის სოციალურად შეჭირვებულ პირებზე გადაცემის თაობაზე

მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად დაწყებულია საქმისწარმოება ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 35 ოჯახზე მათ მიერ დაკავებული ფართის საკუთრებაში გადაცემის პროცედურა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

ავთანდილ ტაბატაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების სამსახურის
მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის
განყოფილების ხელმძღვანელი

- მუნიციპალიტეტის საკრებულო -

კომისიის სხდომა

24 ოქტომბერს, გაიმართა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა მიხეილ ჯანაშვილის თავმჯდომარეობით.

კომისიამ განიხილა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიციირებული საკითხი დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისა და მისი მიმდებარე შესახვევებისათვის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რეზო თაბუკაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე;

აგრეთვე, დაბა სურამში, ბუღაურას დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისა და მისი განშტოებისათვის „ბერი გაბრიელ სალოსის“ ქუჩის სახელის მინიჭების თაობაზე;

ორივე საკითხზე კომისია გააგრძელებს შემდგომ პროცედურებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიამ, ასევე, მოისმინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2024 წლის 9 თვეში შესრულებული საქმიანობის ანგარიში, რომელიც სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა წარმოადგინა.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40)

შუა ჭალა - ადგ; მდებარეობდა სურამის სახელით ცნობილ ჭალაში. ფლობდნენ იტრიელი ჩხეიძეები. მათ შეცილებია ვახუშტი აბაშიძე. ყსაყ ფაშას 1730 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დარჩა სეხნია ჩხეიძეს. ,,უსუფ ფაშა ვკადრებ, ჩვენ მაგიერად ჩვენგან პატივცემულს მოლარეთხუცესს სეხნიას ასე უანბეთ. მერეთ შუა ჭალს აბაშიძე ვახუშტი შემოგცილებოდა და ჩვენს აქ თარრის დავთარი ვნახეთ, რომე თარრისაც თქვენზედ დაეწერა და მირის თეთრსაც შენ გვაძლევდი და მამულიც უწინაც შენი იყო. ახლა ამ ჭალასთან ვახუშტი აბაშიძეს ხელი არ აქვს და ჩვენც შენთვის წყალობა გვიქნია. თუ კიდევ შემოგეცილოს, მოგვახსენით და მაბაშარს გამოეგზავნით. სურამის ხეობაში რომელიც ჭალა ამ მოლარეთხუცისა იყოს, იმაზედ ხელი ამართე და ამასვე მოაბარე და თუ რამ გარდა გამოსავალი აბაშიძეს აეღოს, გამოართვი და მოლარეთხუცეს მოაბარე.

ჩხეიძის ტყე - ადგ; ტყე. დაფიქსირებულია 1879 წლის საბუთში. ლუარსაბ აბაზაძის მიერ დათუა ჯობაძისათვის მიყიდულ ,,გასაჩეხ ტყეს“ დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ჩხეიძის ტყე.

ძველი ბაზარი – ადგილი. აქედან ბაზრის გადატანის შემდეგ, 1934 წელს ადგილი გამოეყო სატრაქტორო სკოლას.

წურაული ზუარი – ადგ; ზვარი. დოროთეზ კათალიკოზმა 1584 წლის ახლოს შესწირა სურამში ,,წურაული ზუარი“ იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიას.

ჭალა - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია 1857 წლის 22 მარტის საბუთში, რომელშიც ნათქვამია: ,,...ნასყიდობის სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ხაშურის მებატონე თავადმა როსტომ ხიდირბეგოვმა და მემკვიდრემან ჩემან გიორგიმა, კონსტანტილემან და მამავალმან სახლისამან ჩემისამან თქვენ, სურამში მცხოვრებ სახაზინო ყმასა გრიგოლ არუწოვსა და ძმასა შენსა ალექსანდრესა... მას ჟამს როდეს დამჭირდა და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო ჭალაში მდებარე სახნავი მიწა... ბოლოს სამნიდამ შენსავე მიწის მიდგმამდინ... ბოლოში... ძველი რუს პირიდან კაკუჩიშვ[ილ]ისკენ სამნამდინ..., შუას ადგილს დასავლეთისკენ ისევ ძველს რუს პირამდინ, აღმოსავლეთით ფრონემდინ“.

ჭინჭარაული - ადგილი. დოროთეზ კათალიკოსმა 1584 წლის ახლოს შესწირა იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიის.

ხეროდინაშვილის საყდარი - ადგ; დაფიქსირებულია 1846 წლის 21 იანვრის მიწის ნასყიდობის საბუთში: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, გორის უეზდის კეთილშობილმა პრაპორშიკმა პეტრე ციმაკურიძემა, ძმამა ჩემა ივანემა, ძემა ჩემა მიხეილმა და გრიგორმა, ქვიშხეთში მცხოვრებელმა, თქვენ, სურამში მცხოვრებელს სახაზინო გლეხს ჯობაძე პეტრესა, ძესა შენსა სიმონასა და ივანესა და დიმიტრისა... მაჟამს ოდეს დამეჭირა და მოგყიდე ჩვენგანაც ნასყიდი წყალგაღმა ხეროდინაშვილისა და კახიშვილისა ალაგი, აღმოსავლეთის მხარეზედ ბებიაშვილის დავით ღვდლის მიდგმამდინ და სამნამდინ, თავს ჩრდილოეთისაკენ დავით და სოლომონ ვეზიროვის მიდგმამდინ და სამნამდინს, ბოლოს ხეროდინაშვილის საყდრის და სასაფლაოს მიდგმამდინა და სამ[ნამ]დინ, დასავლეთის მხარეს მეღორიშვილისა სახლისა მიდგმამდინა და სამნამდინა. კიდევ აკოფაშვილისა სტეფანასა და ფარსადანის კალო-საბძლის მიდგმამდინ და სამნამდინ, ამავე გვერდზე შარამდინა და სამნამდინ, თავს ჯობაძის ვენახის მიდგმამდინ და სამნამდინა, ქვითკირის სასახლე და ხარო შიგ მდებარეობს“.

ხეროდინაშვილის სასაფლაო - ადგ; იხ. ხეროდინაშვილის საყდარი.

ხიდირბეგიშვილის ნავენახარი - ადგილი; იხ. ოთეღაშვილის ვენახი

ხოჯაურის სამანი - ადგ; დაფიქსირებულია 1693 წლის საბუთში, რომლის მიხედვითაც ჩხეიძეების მიერ კათალიკოს იოვანე დიასამიძისათვის მიცემული მიწის ერთ-ერთი საზღვარია - ,,ზეით იესეს ხოჯაურის სამნამდი“.

ხუცის გიორგის მიწა - ადგ; იხ. მეხრისული მიწა.

ჯანიბახჩიანთ წისქვილი - ადგ; წისქვილი. ფიქსირდება 1769 წლის 2 ივნისს პოღოზა თუდარჩიშვილის მიერ იესე მურვანიშვილისათვის ,,ერთი ქსანი'' წისქვილის მიცემის საბუთში: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, თუდარჩიშვილმან პოღოზმან და შვილმა და მამავალმა სახლისა ჩემისამა შენ, მურვანისშვილს იესესა, ძმასა შენსა ქაიხოსროსა, გ[იორ]გასა, ლუარსაბსა და ბიძაშვილსა შენსა შიოშსა და ზალსა, შვილსა და მამავალსა სახლისა შენისასა. ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო წისქვილი ერთი ქსანი ჯანიბახჩ[ი]ენთ წისქვილში“.

ჯაპანაური – იგივეა, რაც ჯაფინაური

ჯაფინაური//ჯაფნიაური//ჯაფნაური - ადგ; ადრინდელი სოფელი, სურამის ერთ-ერთი უბანი, მდებარეობს მდ. სურამულას მარცხენა მხარეს.

ჯობაძეების მიწა(1) - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია 1851 წლის 1 მაისის მიწის ნასყიდობის საბუთში, რომლის მიხედვითაც დავით ბებიაშვილის მიერ შაველაში მიქელა აკოფოვისათვის მიყიდული ოთხი დღის მიწის საზღვარი არის ,,ბოლოს ჯობაძეების მიწის მიდგმამდინ“.

ჯობაძის მიწა(2) - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია 1743 წლის 8 ივნისის მიწის ნასყიდობის საბუთში. მასში ნათქვამია, რომ როსტომ ჩხეიძის მიერ ჯაფნაურში ურიაყოფილის შვილის ყობიასათვის მიყიდული ,,ურიების ნასახლარი“ ,,ჯობაძის მიწის ბოლოს არის“.

ჯობაძეების სასაფლაო – ადგ; სასაფლაო, მდებარეობს ღვთაების ეკლესიასთან. იგივეა რაც ღვთაების საყდრის სასაფლაო. XVII საუკუნის ერთ-ერთ დოუმენტში /მურვანიშვილების /?/ მამულების სია/ ჩამოთვლილ მამულებს შორის შორის ვხვდებით ღვთაების საყდრის უკან ჯობაძეების სასაფლაო" . ჯობაძეების ტყე - ადგ; ტყე. დაფიქსირებულია 1879 წლის მიწის ნასყიდობის მიხედვითაც ლუარსაბ აბაზაძის მიერ დათუა ჯობაძისათვის ჯაფინაურში მიყიდული გასაჩეხი ტყის საზღვარი ,,აღმოსავლეთით ისევ ჯობაძის ტყეა“.

ჯობიაური – ადგილი. 1691 წელს ზაზა აბაზაძემ ჯაფინაუში იესე მურვანივილს მიჰყიდა ორი დღის მიწა ჯობიაური: ,,...მოგყიდე მე, აბაზაძემ ზაზამ, ძმამა ჩემა ოთარ, თქვენ, მურვანისშვილს იესეს, შვილ[სა] შენსა შიოშს... ჯაფნიაურში ორის დღის მიწა რასაც ის აიტანს ჯობიაური. ზედათ გვერდი ჩიტირეკას მიდგმამდი, ქვეშეთ მერაბას მიდგმამდი, ბოლოს ახალბედისშვილის მიდგმამდი”.

სოფელი ურთხვა

აბაზაძეების ნაჭერი - ადგ., სახნავი

აბაზაძეების უბანი - უბანი სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აბაზაძეების უბანში.

ბიჯნისულა - მდინარე

ბლიაძეების უბანი - ადგ; უბანი

ბლიაძეების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი

ბლიაძეების წყარო - ადგ; წყარო

ბოლოკაძის მამული - ადგ; სახნავი, სათესი. ფიქსირდება XVIII ს - ის ერთ-ერთ საბუთში, რომელშიც ნათქვამია: ,,...ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, აბაზაძემან ზაზამან, ძმამან ჩემან ოთარმან, შვილმან ჩემან ამილღაბარ, დათუნამან, მომავალმან სახლისამან ჩვენისამანყოველთავე შენ, აბაზაძეს თამაზასა. ასრე რომე დამეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ბოლოკაძის მამული მეოთხედი...“ (ხეც, Hდ – 8034).

გელაშვილების ნაჭერი - ადგ., სახნავი

გრიგოლას ახო- ადგ., სათესი

გრძელი მიწები - ადგ., სახნავი.

დათვის წყარო - ადგ; წყარო სოფელში. ,,დათვის გამოსახულება იყო გაკეთებული”.

ეკლესიის ფერდი - ადგ., საძოვარი

ზედა გზა// ბლიაძეების გზა - გზა

ზედაურთხვის გზა// მუხის გზა - გზა

კახიანების ნასახლარი - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,კახიანი დაესიძა, ხარიტონი ერქვა:

აგერ მოდის ფაიტონი,

შიგ უჯდია ხარიტონი,

გადაბრუნდა ფაიტონი,

თან გადყვა ხარიტონი”

კახიანების სათესი - ადგ., სათესი

კახიანების სახნავი - ადგ., სახნავი.

კახიანების წყალი//კახიაების წყარო - ადგ; წყარო ჩრდილოეთის მხარეს.

კოდისწყარო - ადგ; წყარო ბლიაძეების უბანში. ,,ხის კოდი იყო ჩადგმული“

კოჩხერიები - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ნასახლარია, ხაჩიძეები, გელაშვილები და ერთი კომლი პაქსაშვილი ცხოვრობდა ცხოვრებულა. 50-იან წლებში გადმოსახლდნენ, მაღლობია, კონცხზე ცხოვრობდნენ”.

ლაშხევი//ლაშეხევი//ლაშიხევა - ადგ., ხევი აღმოსავლეთით. ,,წყალი გამოდის, კარგი სასმელი წყალია. მარილიანი წყალიც არის”. გვხვდება XVIII ს - ის საბუთში. აქ ბლიაძე დათუნამ მიწა მიყიდა ბლიაძე ბერუკას: ,,ნასყიდობისა წიგნი და პირი მოგევით ჩვენ, ბლიაძემა დათუნამა, მამამ ჩემა შიომ და ჩემა ძმისწულმა... გიორგიმა და მოსიამა და ივანამა და მომავალმა სახლისა ჩემისამა შენა, ბლიაძეს ბერუკასა და დათუნასა და გიორგისა და პაპუნასა და თამაზასა და მამავალსა სახლისა შენისასა. ასე რომე დამეჭირა დამოგყიდე ჩემგანაც ნასყიდი მიწა ლაშიხევაში, ზომითა სამი დღისა. ზეით ქოჩორაძის მიწის მიდგმამდინა, ქვეით ტყემდინა, აქეთ ძიძიბაძის მიწის მიდგმამდინ, იქით ლაშიხევას სამზღვრამდინა“(ხეც, Hდ-8264).

მაკარის მიწა – ადგ., სათესი

მაკარის წყარო - ადგ; წყარო სოფელში. ,,გელაშვილი იყო, ურმის თვლებს აკეთებდა. კაცო, ეხლა შენც მაკარას გაკეთებული ურმის თვლები არ გქონდეს, - ასე ეტყოდნენ ხომე”.

მაჭიკას წყარო - ადგ; წყარო სოფელში. ,,ბლიაძე იყო, რომელსაც ზედმეტ სახელად მაჭიკას ეძახდნენ”.

მუხა - ადგილი სოფელში. ,,დიდი მუხა იყო. აქ ვიკრიბებოდით სათამაშოთ”.

მუხის მიწები - ადგ., სახნავი

მუხის წყარო - ადგ; წყარო სოფელში. ,,დიდი მუხა იყო, მისი დიამეტრიც 2,65 სმ იყო”.

მჭედლის ბიჭების უბანი – ადგ; უბანი.

მჭედლის ბიჭების მიწა - ადგ., სახნავი

მჭედლის ბიჭების წყარო – ადგ; წყარო.

ნაშვრალი - ადგ., სახნავი.

ნაცარავერხვები - ადგილი. ,,ახო გააკეთეს, ქარიანი ადგილია ძალიან”.

ნაცარახევი - ადგილი, მინდორი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, ახლა მინდორია”.

ნაცარახოები - ადგ., სახნავი

ნაბაღვარი - ადგ., საძოვარი.

ნარელას მუხები - ადგ., ტყე

ორხევი - ადგ., მთა, ტყე

პანტის მიწა - დგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ახლა არ იხვნება, ნარგავები დარგეს, პანტები იდგა, ჩვენ გვეკავა”.

პაპუჩის ნაჭერი - დგ., სახნავი

პაპუჩის ტყე - ადგ., ტყე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს.

სსინოს ნასახლარი - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,სინო ხაჩიძე იყო”.

სოლოს მუხები - ადგ., ტყე

ტაბაკლდე - ადგ; კლდე

ტატელას ახო - ადგ., მინდორი

ტასიური//ტასიურის ტყე - ადგ., ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ურთხვის მიწა - ადგ., სათესი

ურთხვის სერი - ადგ., მთა, სერი

ურთხვის ფიჭვნარი - ადგ., ტყე

ურთხვის წმინდა გიორგი - ადგ; სალოცავი ჩრდილოეთის მხარეს.

ურთხვის წყალი//ურთხვის ღელე - ღელე, ერთვის სურამულას.

ურთხვის ხევი – ადგ; ხევი. “სურამის ზეით, სამსახურიდამ, მიერთვის ამ წყალს (სურამულას –თ.ლ.) ურთხვის ხევი” (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა, გვ. 377). ქვეა ამავე სახელწოდების სოფელი - ურთხვა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში ხაშურის #35-ე საარჩევნო ოლქში დაფიქსირებული წინასწარი შედეგები

	3. „საქართველოს ერთიანობისა და განვითარების პარტია"	4. „ალიანსი ცვლილებისთვის ბვრამია მელია ბირი დრო"	5. „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა"	6. „ევროპელი დემოკრატები"	8. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"	9. „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!"	10. საქართველოს ლეიბორისტული პარტია	12. „ჩვენი გაერთიანებული საქართველო"	16. „შეცვალე საქართველო"	17. „საქართველო"	20. თავისუფალი საქართველო	21. ტრიბუნა	23. „ჩვენ"	25. „გახარია საქართველოსთვის"	26. „მემარცხენე ალიანსი"	27. ქართველ ერთიობა	36. „ბირი"	41. ქართული ოცნება
35.01	5	129	124	6	63	139	11	2	13	4	3	1	1	119	0	1	65	627
35.02	3	132	111	4	52	156	13	2	5	2	4	1	1	115	1	3	62	824
35.03	5	80	70	3	22	82	6	0	6	0	1	0	0	50	0	1	32	405
35.04	2	85	109	7	36	128	3	2	10	4	2	0	1	109	1	9	47	536
35.05	2	141	154	2	37	165	7	0	7	4	0	0	1	137	0	1	41	720
35.06	5	150	136	5	49	118	12	0	8	2	3	4	0	86	2	0	43	545
35.07	1	148	118	6	38	115	11	0	7	1	4	2	0	94	0	1	43	627
35.08	2	123	112	11	46	147	14	0	17	1	1	0	2	105	2	4	45	680
35.09	2	138	110	7	29	108	13	0	7	3	1	0	1	90	0	1	39	514
35.10	3	82	100	5	10	74	5	0	7	0	1	3	0	66	1	3	21	385
35.11	0	42	48	1	19	39	4	1	4	0	2	0	0	39	0	2	5	224
35.12	1	54	58	2	20	42	4	1	4	2	1	0	0	19	0	1	6	191
35.13	1	119	158	3	39	160	14	2	19	2	2	0	0	140	0	2	28	552
35.14	2	124	128	6	46	136	13	3	10	3	1	1	2	167	2	2	47	635
35.15	3	104	116	10	47	147	9	2	18	4	4	5	1	137	0	7	46	540
35.16	0	20	22	1	17	34	6	1	2	1	0	0	1	30	0	0	15	162
35.17	0	54	91	1	11	51	1	0	1	0	2	0	0	28	1	2	6	373
35.18	0	14	30	0	12	13	0	0	0	0	0	0	0	9	0	0	4	105
35.19	2	17	60	2	14	33	1	0	6	0	1	0	0	19	1	2	4	261
35.20	2	83	58	3	21	67	2	1	3	0	1	0	0	42	0	1	18	431
35.21	0	26	48	2	3	23	1	0	0	0	3	0	0	9	1	4	6	152
35.22	3	44	90	6	17	45	5	1	2	0	1	1	1	38	0	0	10	400
35.23	2	79	93	2	35	99	7	1	4	0	2	1	0	88	0	3	27	602
35.24	2	20	47	4	8	67	4	0	2	2	1	0	0	23	0	0	5	344
35.25	0	22	55	0	9	34	0	0	0	0	0	0	0	16	0	1	2	179
35.26	4	63	77	4	35	86	5	1	11	1	4	3	1	74	1	3	30	439
35.27	2	61	71	5	19	75	5	0	8	1	4	0	0	49	2	2	19	342
35.28	0	52	45	3	19	66	2	0	3	1	2	1	1	52	0	1	4	364
35.29	4	27	44	4	6	56	4	0	4	0	4	1	0	34	1	1	10	326
35.30	2	80	106	9	42	93	14	0	6	8	5	0	0	79	0	5	8	553
35.31	34	0	55	1	0	33	0	2	2	0	4	1	0	18	0	1	5	262
35.32	0	15	38	2	4	27	4	0	2	0	0	1	0	28	1	1	3	157
35.33	0	23	51	1	14	18	2	1	1	0	0	0	0	5	0	0	3	173
35.34	1	3	7	0	0	6	2	0	0	0	0	0	0	1	0	1	0	32
35.35	0	5	17	0	3	10	0	0	1	0	0	0	0	6	0	0	2	60
35.36	4	126	131	8	52	161	12	3	15	2	0	2	0	112	2	1	28	588
35.37	0	55	55	8	15	57	6	1	7	1	2	0	1	53	0	0	9	247
35.38	0	24	40	0	16	24	0	0	3	0	1	1	1	25	0	0	8	243
	99	**2 564**	**2 983**	**144**	**925**	**2 934**	**222**	**27**	**225**	**49**	**67**	**29**	**16**	**2 311**	**19**	**67**	**796**	**14 800**

ახალი პროექტი მოქალაქეთა ჩართულობით განხორციელდება

ძვირფასო ხაშურელებო,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა თხოვნით და მუნიციპალიტეტის მერის ინიციირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა პროექტი, რომელიც ქალაქ ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის - სამარშრუტო მიკროავტობუსებისთვის განკუთვნილი ზოლის (ე.წ. ბასლეინის/BusLane) მოწყობას ითვალისწინებს.

გაცნობებთ, რომ რუსთაველის ქუჩაზე, უახლოეს მომავალში, უნდა დაიწყოს წყლისა და წყალარინების სისტემების მოწყობა, რაც ბუნებრივად გამოიწვევს შეზღუდვებს საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობაში. აღნიშნული სისტემების მოწყობის შემდეგ კი, მუნიციპალიტეტი გეგმავს, საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, განიხილოს რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. ბასლეინის -სამარშრუტო მიკროავტობუსებისთვის განკუთვნილი ზოლის მოწყობის საკითხი.

მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით ვაქვეყნებთ რუსთაველის ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის - სამარშრუტო მიკროავტობუსებისთვის განკუთვნილი ზოლის (ე.წ. ბასლეინის/BusLane) პროექტის ვიზუალურ მასალას.

მუნიციპალიტეტი სიამოვნებით მოუსმენს მოქალაქეთა შეხედულებებს, აზრებს და იდეებს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერია



საჩუქარი - სასპორტო სკოლას

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და საქართველოს პარლამენტის წევრი, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარ დეპუტატი ზაზა დუგლაძე ხაშურის სპორტულ კომპლექსს ესტუმრნენ.

სპორტულმა კომპლექსმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღო. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ჭიდაობის ფედერაციისგან ხაშურელ სპორტსმენებს საჩუქრად ტატამი გადაეცა.

ხაშურელი მოჭიდავეები და მათი მწვრთნელები, უდიდესი შრომის და პროფესიონალიზმის ხარჯზე, არაერთ წარმატებას აღწევენ მსოფლიო მასშტაბით. გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა დამატებითი მოტივაცია იქნება მათთვის ახალი გამარჯვებების მისაღწევად.

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების საყურადღებოდ!

საქართველოს მთავრობის განკარგულებით (N1439; 07/102024წ.), 2024 წლის თებერვალში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები ერთჯერად კომპენსაციას მიიღებენ 2000 ლარის ოდენობით. ფულადი დახმარება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით დაზიანებული უძრავი ქონების მესაკუთრეზე ან ოჯახის სრულწლოვან წევრზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაინტერესებულმა პირებმა (იგულისხმება უძრავი ქონების მესაკუთრეები, ან ოჯახის სრულწლოვანი წევრები კანონმდებლობით დადგენილი წესით) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მერის სახელზე მატერიალური ან ელექტრონული სახით;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების საკუთრების შესახებ;

დ) საბანკო ანგარიშის ნომერი;

ე) ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელისაგან, იმ შემთხვევაში თუ უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რისთვისაც:

ეა) წარმომადგენელი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის განცხადების შესწავლას, რის საფუძველზეც ინფორმაციაში ასახავს ფაქტის შესაბამისობას რეალობასთან და ახდენს ფულადი დახმარების მიმღები დაზარალებული ოჯახის იდენტიფიცირებას;

ებ) წარმომადგენლის მიერ შესწავლა და გარემოებათა გამოკვლევა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით;

ვ) სანოტარო წესით დამოწმებული თანამესაკუთრეების თანხმობები ერთ-ერთი მესაკუთრეზე ფულადი დახმარების გაცემის შესახებ;

ზ) საჯარო რეესტრის ამონაწერის არარსებობის ან/და მესაკუთრის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის სრულწლოვანი წევრების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრის მიერ ფულადი დახმარების მიღებაზე;

თ) მესაკუთრის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში, ფულადი დახმარების გაიცემა სანოტარო წესით დამოწმებული სათანადო მინდობილობის საფუძველზე;

დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია როგორც მატერიალური სახით მუნიციპალიტეტის მერიაში მისამართზე: 5700. ხაშური ტაბიძის ქ.N2; ისე ელექტრონული ფორმით მერიის ოფიციალურ ელფოსტაზე: info@khashuri.gov.ge

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის თებერვალში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების განცხადების შემოტანის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 15 ნოემბერი;

მუნიციპალიტეტის მერია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.